გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

KA990169763098118

საქართველო, გორი 1400, სტალინის გამზ. №16;

№ **03/360** **10 / ივლისი / 2018 წ.**

ფაქტ-მეტრის რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ ნინო ჩიბჩიურს
მის. გორი, ბერუაშვილის ქ.12
ტელეფონი 598 55 85 02

ქალბატონო ნინო,

თქვენი მ/წლის 6 ივლისის წერილის (საკრებულოში რეგისტრაცია №363 06.07.2018 წ.) პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტია საკრებულოს დადგენილება. საქართველოს კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“ ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, ხოლო ნორმატიული აქტები ელექტრონული ფორმით ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge,), რის შემდეგაც იგი იძენს ოფიციალური იურიდიული ძალას. მითითებულ ვებგვერდზე შესაძლებელია იხილოთ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 14 ნოემბრიდან დღემდე მიღებული ყველა ნორმატიული აქტი (ცვლილებების ჩათვლით) და გაეცნოთ მიღებული აქტების რაოდენობასა და შინაარსს.

”საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 6 დეკემბრის № 225 ბრძანებით სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში ნორმატიული აქტების გამოქვეყნება ხორციელდება „მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე. გამოქვეყნებისათვის დაწესებულია შემდეგი საფასური:

1. ერთი გვერდიდან 10 გვერდის ჩათვლით – თითოეული გვერდის გამოქვეყნებისათვის 20 (ოცი) ლარი;
2. 11 გვერდიდან 50 გვერდის ჩათვლით – თითოეული გვერდის გამოქვეყნებისათვის 15 (თხუთმეტი) ლარი;
3. 50 გვერდზე მეტი – თითოეული გვერდის გამოქვეყნებისათვის 10 (ათი) ლარი.

გორის მუნიციპალიტეტს 2017 წლის 14 ნოემბრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად გამოქვეყნებული აქვს 238 გვერდი და გადახდილია 3 660 ლარი, ხოლო 2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე გამოქვეყნებულია 663 გვერდი და გადახდილია - 11 731 ლარი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების სიმრავლე გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად მუნიციპალიტეტების საკრებულოებს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6

თვის ვადაში უნდა მოეხდინათ ნორმატიული აქტების კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც გულისხმობს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე არსებული გორისა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადებას და გორის მუნიციპალიტეტის მიერ მათ ხელახლა გამოცემას.

პატივისცემით,

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე